ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1160887

ნომერი: AR1196448

თარიღი : 18.02.2014

გაცემის თარიღი : 12.03.2014

გაცნობის თარიღი : 12.03.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თამარაშვილის ქუჩა N13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვერნაძე პ/ნ 01006006543
- თბილისი დიღმის მას. IV კვ. კორ. 12 ბ. 56

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 31 ოქტომბერს გაცემულ #1659 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის და საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 31 ოქტომბერს გაიცა #1659 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად ##01.10.16.004.137, #01.10.16.004.134, #01.10.16.004.133, #01.10.16.004.110, #01.10.16.004.138; საკადასტრო ერთეულებზე;

#AR1196448 18.02.2014წ. განაცხადის საფუძველზე, საკითხი განხილული იქნა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე (ოქმი #7 20.02.14წ.), რომელზედაც გადაწყდა დადებითად, რის საფუძველზეც 2014 წლის 26 თებერვალს გაიცა ქ. თბილისის

მერის #394 განკარგულება ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. #13–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.10.16.004.188) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესათანხმებლად;

ამასთან, რადგანაც გრგ–ს პროექტით მოხდა საკადასტრო მონაცემების ცვლილება საჭიროა ცვლილების განხორციელება #1659 31.10.2011წ. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაშიც, ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებით (საკადასტრო კოდი: #01.10.16.004.188);

დამკვეთი: გიორგი კვერნაძე;
ავტორი: კონსტანტინე ამირეჯიბი;
საფუძველი: საკადასტრო გეგმა: #01.10.16.004.188;
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: სარეგისტრაციო N 882014080808 20/02/2014წ.

- ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურისსამსახურის განაშენიანებისრეგულირებისგეგმის გეგმარებითიდავალება #1659 31.10.2011წ.
- ქ. თბილისის ტერიტორიებისგამოყენებისადა განაშენიანებისრეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი #7 20.02.2014წ.
- ქ. თბილისის მერის განკარგულება #394 26.02.2014წ.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის საერთო ფართი ——————————— 8400 კვ.მ
განაშენიანების საერთო ფართი ——————————— 2917.12 კვ.მ (კ1=0.3)
განაშენიანების ინტენსივობის საერთო ფართი ——————————— 33600 კვ.მ (კ2=4.0)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და ქალაქ თბილისის 2009 წლის 27 მარტის # 4-13 გადაწყვეტილების მე-3 თავის თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე გიორგი კვერნაძის #AR1196448 18.02.2014წ. განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება 2011 წლის 31 ოქტომბრის #1659 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებით (საკადასტრო კოდი: #01.10.16.004.188);
3. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩა #13–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.10.16.004.188), საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.
4. საპროექტო ტერიტორიის განვითარება მოხდეს შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესაბამისად;
5. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ტოპოგრაფიული გეგმები მ1:500; (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით);
6. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას ტერიტორიაზე არსებულ საინჟინრო კომუნიკაციებთან სამშენებლო ნორმების დაცვის შესახებ ცნობები შესაბამისი სამსახურიდან;
7. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას წარმოდგენილი იქნეს ზოგადი გეოლოგია;
8. შენარჩუნებულ იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგავები, ხის მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში აღებული იქნეს შესაბამისი ნებართვა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან;

9. შენობის ნაწილზე, რომელიც იმყოფება 7.5 მ–იან ზონაში, სამეზობლო მიჯნების დაცვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მფლობელის თანხმობა;
10. წინამდებარე ბრძანება განხილულ უნდა იქნეს 2011 წლის 31 ოქტომბრის #1659 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.